EAST-WEST UNIVERSITY
Powered by Arizona State University®

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი 0102,
დიმიტრი უზნაძის ქ. N68ბ

LLC EAST- WEST UNIVERSITY
68B Dimitri Uznadze St.,
Tbilisi, 0102, Georgia

www.eastwest.edu.ge
(+995 32) 15 71 72
info@eastwest.edu.ge

პრეზიდენტის ბრძანება № 01-169

ქ. თბილისი 2025 წლის 15 დეკემბერი

შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ მედიცინის სკოლაში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის 1-5 პუნქტების, მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის, შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-11 ბრძანებით დამტკიცებული შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ დებულებისა და შპს ,,აღმოსავლეთ -დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-12 ბრძანებით დამტკიცებული ,,აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის“ , შპს “აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის“ წესდების 5.2 პუნქტის, მედიცინის სკოლის საბჭოს 2025 წლის 4 დეკემბრის N04 სხდომის ოქმის, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 8 დეკემბრის N 03/25 სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს ღია კონკურსი 2025 წლის 15 დეკემბრიდან აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, სულ 22 საშტატო ერთეულზე:

ა) პროფესორი: 8 საშტატო ერთეული - 4 კლინიკური მეცნიერებების მიმართულებით, 4 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) ასოცირებული პროფესორი: 8 საშტატო ერთეული - 4 კლინიკური მეცნიერებების მიმართულებით, 4 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით;

გ)ასისტენტ- პროფესორი: 4 საშტატო ერთეული - 2 კლინიკური და 2 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით;

დ) ასისტენტი - 2 საშტატო ერთეული სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით;

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

3.კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ელექტრონულად შემდეგი სახის დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) CV (რეზიუმე), სადაც მითითებული იქნება გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) შესაბამისი სამეცნიერო, დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხოეთში მიღებული აკადემიური ხარისხის შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე);

ე) ცნობა შესაბამისი კლინიკური საქმიანობის შესახებ.

ვ) ცნობა პედაგოგიური გამოცდილების შესახებ;
ზ)ლექციების ინგლისურ ენაზე წაკითხვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) ან ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert, EnglishScore და სხვ.);
თ) სახელმწიფო სერტიფიკატები ნებადართულ კლინიკურ სპეციალობებში;
ი) შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ და ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ “ **(წინამდებარე პუნქტში მოხსენიებული ცნობების წარდგენა სავალდებულოა კონკურსის მეორე ეტაპზე გადასავლის შემთხვევაში);**
5.კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დასაკმაყოფილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს შემდეგნაირად:
5.1 პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 6 წელი, კლინიკური გამოცდილების სულ მცირე ბოლო 9 წელი (კლინიკური მიმართულების პროფესორის შემთხვევაში).
5.2.ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 3 წელი, კლინიკური გამოცდილების სულ მცირე ბოლო 5 წელი (კლინიკური მიმართულების ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში).
5.3.ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს კლინიკური საქმიანობის გამოცდილების სულ მცირე ბოლო 3 წელი (კლინიკური მიმართულების ასისტენტ-პროფესორის მიმართულების შემთხვევაში).
5.4.ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად შეირჩევა დოქტორანტი საკვლევი თემის მიმართულებით;
5.5. წინამდებარე პუნქტის 5.1 – 5.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა აქვთ პროფესიული ნიშნით კვალიფიციურ კანდიდატებს. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
6.კონკურსში მონაწილე კანდიდატთა განაცხადების შეფასება მოხდეს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ.
7.მიენიჭის უფლება საკონკურსო კომისიას კონკურსის მსვლელობისას, ერთობლივი გადაწყვეტილებით, პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობებზე შეირჩეს დარგის /მიმართულების მიხედვით, მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილების მქონე კანდიდატი(ები).
8.საკონკურსო განცხადება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, https://eastwest.edu.ge და www.jobs.ge-ზე.
9.საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურში ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: HR@eastwest.edu.ge.
10.კონკურსანტთა მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტები დამუშავდეს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მხოლოდ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული მიზნობრიობით.
11. საკონკურსო დოკუმენტების მიღება შეწყდეს 2026 წლის 15 იანვრის დილის 10 საათზე.
12. **კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:**
პირველი ეტაპი - საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთა დოკუმენტაციის შესწავლა-პირველადი შეფასება (2026 წლის 15-18 იანვარს);

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი 0102,
დიმიტრი უზნაძის ქ. N68ბ

LLC EAST- WEST UNIVERSITY
68B Dimitri Uznadze St.,
Tbilisi, 0102, Georgia

www.eastwest.edu.ge
(+995 32) 15 71 72
info@eastwest.edu.ge

მეორე ეტაპი - დოკუმენტაციის შედეგად შერჩეულ კონკურსანტებთან გასაუბრება (2026 წლის 24 – 26 იანვარი);

მესამე ეტაპი - საბოლოო გადაწყვეტილების მიღება (2026 წლის 29 იანვარი), უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით აკადემიურ თანამდებობაზე განწესება 2026 წლის 29 იანვარი.

13.კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2026 წლის 30 იანვარს, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - https://eastwest.edu.ge.

14. დაევალოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს, ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.

15.დაევალოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტს მედიცინისა და ჯანდაცვის მეცნიერებების მიმართულებით კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე;

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

გიორგი ხუროძე,

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი